



სამოქალაქო ორგანიზაციების განცხადება სახალხო დამცველის ბრიფინგზე

სამოქალაქო ორგანიზაციები მხარდაჭერას უცხადებენ სახალხო დამცველს და მოუწოდებენ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, დაინტერესდნენ პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობით და უზრუნველყონ მსჯავრდებულთა უსაფრთხოება. აგრეთვე გარანტირებული იყოს სახალხო დამცველის თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ადეკვატური სამუშაო პირობები პენიტენციურ დაწესებულებებში.

20 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა [სპეციალურ ბრიფინგზე](#) პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა ციხის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადმინისტრაციის და ე.წ. **ქ** მყურებლების **ქ** მიერ მართული პატიმრების გარკვეული ჯგუფის მიერ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებზე განხორციელებულ სიტყვიერ თავდასხმებზე, მუქარასა და აგრესიაზე. აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ციხის სუბკულტურის გავლენებზე აქამდეც ამახვილებდნენ ყურადღებას [სახალხო დამცველი](#) და [სამოქალაქო ორგანიზაციები](#).

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტებს და მათ ეფექტიან მუშაობას პენიტენციურ დაწესებულებებში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს მსჯავრდებულთა უფლებების ადეკვატური დაცვისათვის. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, სახალხო დამცველის და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამ ფონზე, ორმაგად სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველის მიერ გაუღწერებული პრობლემები სათანადო რეაგირების გარეშე რჩება და წინა შემთხვევების მსგავსად, ხელისუფლების წარმომადგენლები ამჯერადაც უარყოფენ ციხის სუბკულტურის არსებობას და მასთან დაკავშირებულ სისტემურ პრობლემებს.

ამის ნაცვლად, გასულ თვეებში არაერთხელ ვიხილეთ პერსონალურად სახალხო დამცველზე, ან მის მიერ გაწეულ საქმიანობაზე უსაფუძვლო კრიტიკა. მათ შორის, ადგილი ჰქონდა პენიტენციურ დაწესებულებაში სახალხო დამცველის პატიმრებთან შეხვედრის თაობაზე დეტალების უკანონოდ გასაჯაროების [ფაქტს](#). ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პრობლემის არაღიარება და სახალხო დამცველის ინსტიტუტზე მათი გადაბრალება, არსებითად ქმნის ვითარების კიდევ უფრო დამძიმების რისკებს და თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ასუსტებს ომბუდსმენის ინსტიტუტის ნდობას პენიტენციური დაწესებულების შიგნით.

ამ ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სახალხო დამცველის მიერ გაუღწერული საკითხები არ გახდეს მორიგი პოლიტიკური მანიპულაციების საგანი და ამ პრობლემებზე წარმართოს შესაბამისი საქმიანი მსჯელობა. აუცილებელია:

- სახალხო დამცველის მიერ გაუღწერებულ კონკრეტულ ფაქტებზე შესაბამისმა უწყებებმა დაიწყონ გამოძიება, რომელიც წარმართება დროულად და მაღალი გამჭვირვალობით;
- იუსტიციის სამინისტრომ გაატაროს სისტემური ღონისძიებები პენიტენციურ დაწესებულებებში ციხის სუბკულტურის და ე.წ. **ქ** გავლენების აღმოსაფხვრელად და უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში შესახლებულ პირთა უფლებების მაღალ დონეზე დაცვა;
- პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების დაუბრკოლებლად, უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში საქმიანობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



და მსჯავრდებულებთან მათი კომუნიკაციის დაცულობა.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია